სამშობლოს მონატრება სალმან რუშდისა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

გვანცა წიკლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა- შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერი ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არშეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენიილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

გვანცა წიკლაური 16.06.2025

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თანადგომისთვის, განსაკუთრებით ჩემს პატარა დისშვილს, ნუცა დოლიძეს, ჩემი სამუშაო პროცესის დროს ნაკლებად ხმაურისთვისა და მოთმინებისთვის.

მადლობას ვუხდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრს- სოსო ჩხორთოლიას.

განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ყურადღებიან სალომე პატარიძეს, რომელმაც შეძლო და ურთულეს დროს, უმოკლეს ვადაში უხელმძღვანელა ჩემს ნაშრომს.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის საკითხია მოგონებებში კონსტრუირებული სამშობლოს როლი ემიგრანტულ ლიტერატურაში: სალმან რუშდის *შუაღამის შვილებსა* და გრიგოლ რობაქიძის *გველის პერანგში* ნაშრომის მიზანია, ემიგრანტულ ლიტერატურის პესონაჟების: სალიმ სინაისა და არჩიბალდ მეკეშის მეხსიერებაში კონსტრუილებული სამშობლოს როლის გაანალიზება მათი იდენტობის ძიებისა და ჩამოყალიბების პროცესში.

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იქნა ალეიდა ასმანის კულტურული და კომონიკაციური მეხსიერების თეორია, ასტრილდ ერლის მეხსიერების თეორიებთან ერთად,უილიამ ჰირსტის, ჯერემი იამაშიროს და ალინ კომანის კოლექტიური მეხსიერება და ჰომი ბჰაბჰას მესამე სივრცის შესახებ მსჯელობის ნაწილი. რომანების ანალიზმა აჩვენა, რომ ავტორების ეროვნულ განსხვავებათა მიუხედავად, პერსონაჟებს შორის მრავალი საერთო მოტივი იკვეთება, განსაკუთრებით კი ემიგრანტული მეხსიერების ფორმირების პროცესში. აღმოჩნდა, რომ სამშობლოს მონატრება არსებით როლს ასრულებს მათი იდენტობის ჩამოყალიბებაში. შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ გარემო პირობების, ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების გავლენით, ემიგრაციაში მყოფ პერსონაჟებში ჩნდება ძლიერი სწრაფვა – სურვილი, დაუბრუნდნენ თავიანთ ფესვებსა და წარსულს, რომელიც მეხსიერებაში იდეალიზებული სახით არსებობს.ეს სწრაფვა მხოლოდ ფიზიკური დაბრუნების სურვილი კი არა, არამედ შინაგანი საჭიროებაა – შეინარჩუნონ იდენტობა და აღადგინონ კავშირი დაკარგულ კულტურულ სამყაროსთან. ამიტომაც,ემიგრანტების მეხსიერებაში სამშობლო ხშირად წარმოჩინდება, როგორც იდეალიზებული სივრცე, რომელიც სიმშვიდესა და ავთენტურობასთან ასოცირდება. ასეთი მოგონებები მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფუნქციას ასრულებს: ისინი განამტკიცებს წარსულთან კავშირს და ემიგრანტს შვებას სთავაზობს უცხო გარემოში ცხოვრებისას.

საკვანძო სიტყვები: *სამშობლო, ემიგრაცია, იდენტობა, მეხსიერება, კოლონიზაცია.*

Abstract

The present study explores the role of the homeland as constructed in memory within émigré literature, focusing on *Midnight's Children* by Salman Rushdie and *The Snake's Skin* by Grigol Robakidze. The aim of the paper is to analyze the significance of the homeland as it is constructed in the memories of the protagonists—Saleem Sinai and Archibald Mekeshi—in the process of their identity formation and search for self.

The theoretical framework draws on Aleida Assmann's concepts of cultural and communicative memory, as well as Astrid Erll's theories of memory, along with insights from William Hirst, Jeremy Yamashiro, and Alin Coman on collective memory, and Homi Bhabha's notion of the "third space." The analysis of the novels reveals that, despite the national and cultural differences between the authors, there are numerous shared motifs among the characters, particularly regarding the formation of émigré memory.

The study finds that longing for the homeland plays a crucial role in the development of the protagonists' identities. The comparative analysis shows that, influenced by both external circumstances and individual and collective memory, émigré characters develop a powerful yearning to reconnect with their roots and past—an image of the homeland idealized in their memory. This yearning is not merely a desire for physical return, but rather an inner need to preserve identity and reestablish a connection with a lost cultural world. Consequently, the homeland often appears in émigré memory as an idealized space associated with peace and authenticity. Such memories serve an important psychological function: they reinforce ties to the past and offer comfort to those navigating life in a foreign environment.

Keywords: homeland, emigration, identity, memory, colonization.